

1375  
2

177  
ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი

გაზეთი.

„პალტივი“

პოეზია

ბრუსელიდან ნათარგმნი.



ჭუთაისი

Типо-Литография Н. И. Гамрекли.

1894



*Дозволено Цензурою Тифлисъ, 18 Февраля 1894 г.*



იწიკი

ქაზგა

ქალტავა

სიმღერა პირველი

დიდარს, დიდებულს ძოჩუბებისა  
თვალ-უწვდენი აქვს ვაკე-ზეგნები;  
მის სათიბებში მოუმწყესავად  
ღაბალახობენ ჯოგად ცხენები.  
ქალტავის ირგვლივ სახლებსა მისას  
ბაღნარები აქვს შემოვლებული,  
მრავალი უვის განძეულობა,  
თუ სათვალ-ჩინოდ, თუ რაზ-დებული:  
სტავრა, ატლასი, ვეცხლეთულობა,  
იშვიათთ ნადირთა ბეწვეული.  
მაგრამ ამითი მდიდრად თავს არ თვლის,  
არც გრძელ ფაფრიან ცხენის ჯოგებით,

არც ოქროებით, ყირიმელთაგან  
ხარაჯად, კრძალვით მორთმეულებით,  
არც მამა-პაპათ დანატოვართ:  
ტურთა ასულით, კეკლუც-ნარნარით  
ამაყოფს იგი სათნო-მწყაზარით.

ისიც უნდა ვსთქვათ, თავის მამულში  
მეტოქე არ ჰყავს მაროს სიტურფით,  
იგი ქორთაა, როგორც ზაფხულში  
შეველი, მუხნარს ჩეროში ზრდილი, —  
ტანადობითა ძიევის მალლობთ  
ალვის ხესა ჰგავს წერწეტი, წვრილი;  
მისი მიმოვლა უდაბნოს წყლისა  
ზედსა გაგონებსთ ტანის რხევითა,  
ანუ შევლისა კეკლუცსა ნავარდს  
ჩვეულ სიცქაფით და იერიითა;  
მკერდი თეთრი აქვს წყლისა ქაფივით,  
მალალსა შუბლზე შავ ღრუბლებივით  
ზადმობურვია ხუჭუჭი თმები,  
თვალნი უბრწყინავს ვარსკვლავებივით  
და ლალის ფერი ამკობს ტუჩები;  
თუმცა კი მარტო სიტურფისათვის  
მარიამ არ ჰყავს ხალხსა ნაქები:  
ქოვლგან განითქვა მისი სახელი,  
ვით ქალიშვილის ნაზის, კკვიანის.  
ამიტომც მასთან საშურველ საქმროთ  
გზავნიან ტომნი რუსთ, უკრაინის.  
მაგრამ გვირგვინი ბორკილებსავით



სძაგს, საქმროდ არვინ არ ესურვება,  
ზამოუცხადა ყველას უარი.

ბოლოს ზეტმანიც გულის თქმას ჰყვება  
და მიუგზავნა მას შვამავალი...

ზეტმანი ჩვენი წელთა სიმრავლით,  
მომით, დარდებით არს დაჩაგრული;  
მაგრამ გრძნობის ზღვა აბორგდა გულში,  
ღელავს — მოედვა მას სიყვარული!

შმაწვილ გულს ვნება ელვასებრ სწრაფად  
მოედება და მყის ჩაუქრება,

სტუმრობას მასთან ველარც კი ასწრებს  
ტრფობის სახმილი, -- ისევე შორდება:

ჟოველ ცისმარე დღეს მას ახალი  
ზრძნობა წინანდლის ნაცვლად ეგზნება.

ამას არა ჰგავს, ასე ადვილად

არ აეგზნება მოხუცის გული,

ათას ქარ-ცეცხლში გატარებული,

და უფრო მრავალ გზის ჭირნახული,

ღინჯად და ნელა ვნებათა ღელვის

ჭურას და ბრძმედში გამოვლებული.

და თუ მოედვა, ოდესმეც არი,

მშხისა ცეცხლი, ტრფობისა ალი,

არ გაუქრება სანამ სულს ითქვამს,

და დაავიწყებს მხოლოდ სამარი.

მრბის ფრენას რა იგრძნობს ქურციკი,

მყის შეეფარვის კლდისა ნაპრალებს —

სასძლო კი მარტო აწ დერეფანში

ღადის, განაჩენს ელის, კანკალებს.

ჯავრით გულ-სავსე მოდის, მოჩქარობს  
ძალისა დედა აღელვებული,

ხელებს დაუქერს და სიტყვებს ასწრობს:

«ის უგლიმი, პირ-გაშავებული

რაებსა ჩმახავს? ოჰ, ვიდრე ვცოცხლობთ

ის ვერ მოახდენს მაგ ბოროტობას!

შენ, თავის ნათლულს, ნორჩსა, უმანკოს

უნდა გიწევდეს იგი მამობას...

სწორედ გაგიყდა! ცალი ფეხითა

სამარეში დვას და გთხოვს ცოლობას!»

შეკრთა მარიამ. პირის სახეზე

მას გადაეკრა მკვდრის ფერი მქრქალი...

ღაბნდა და უცებ, იქვე, პარმალზე,

საღსრებ მოსხლეტით დაეცა ქალი.

ზონზე მოვიდა, მაგრამ კვალადვე

თვალი დახუჭა, კრინტსაც არ იღებს;

ღედ-მამა თავსა ევლება და სწუხს

მძებს იმისთვის ნუგეშის საღსრებს;

რომ გაუქარვოს ჯავრი და შიში,

რომ შავ-ფიქრების მოუსპოს ნიში...

ამაო არის ყველა მათი ცდა,

ბავიდა ისე ორი დღე მთელი,

რომ ჩუმად ტირის, ცრემლთ აფრქვევს, ოხრავს,

პრც სასმელი სურს, არცა საკმელი;

მიმობარბაცობს, ჩრდილსავით მქრქალი,

ძილს არ იკარებს. მესამესა დღეს

ის მშობლის სახლში ველარსად ნახეს.

პრვინ იცოდა, როდის და როგორ  
მშობლის სახლიდან გაიპარა ის,  
მხოლოდ მეთევზეს იმ ღამ სმენია  
ცხენის ქენება, ხმაი კაზაკის  
და თანაც წყნარი ფუჩუნის ქალის.  
მეორე დილას მოცვარულს ველზე  
მართლაც იპოვნეს კვალი რვა ნაღის.

პრვინ თუ ღაწვთა პირველი ფუნფლი,  
ზილფთ ამწვანებულთ ოქროს-ფერობა,  
ზოგჯერ მოხუცის მკაცრი სახეცა,  
ჭაღარა თმები, შუბლზე ჭრილობა  
ლამაზ • ქალების • გულის • ზრახვებსა •  
მწვავ ოცნებადაჩაებულება!

მალე • ყურებსა • ძოჩუბებისა •  
მსმა • ამბავი • შავდღის, საზარი:  
მარომან • ხელი • აალო • ნამუსს,  
პესულს • ეხვევა • 'მენაცდენარი!  
მვაჰ, სირცხვილო! ღელა, ვერც • მამა •  
მერ • ჰბედდენ • მიხვდენ • ამას • გონებით:  
მაშინ • გამოჩნდა • მხოლოდ • სიმართლე •  
თვის • უპირბაღო • საშინელებით,  
მაშინ • ცხად • იქმნა • ყრმა • დამნაშავის •  
სულის • თვისება • სურვილით, ვნებით;  
მხოლოდ • მაშინ • ღა • გაირკვა • ცხადად,  
თუ • მარიამი • ცოლქმრულსა • უღელს •  
რად • გაურბოდა • ეგოდენ • ლალად,



რად იტანჯოდა, მალვით ოხვრიდა  
და სიამაყის ღუმელებითა  
საქმროთა სალამს პასუხს უძღვნოდა;  
რად უგდებდა ყურს მხოლოდ ბეტმანსა,  
ნადიმად მჯდომი, დაღუმებულო,  
როს ღვინით სავსე წინწყლავდა თასი,  
ბაასიცი იყო გაჩაღებული;  
თუ რად მღეროდა იგი ყოველთვის  
ბეტმანის ლექსებს, იმ დროს ნაწერსა,  
როს პატარა და ღარიბი იყო  
და მისი ცნობა არ ჰქონდა ერსა;  
თუ რად უყვარდა მას არ-ქალურად  
მხედართ რაზმთ-წყობა, მათი გრიალი,  
ბობლანთა ცემა, ომად მაწვევი,  
და ბეტმანისა დროშის ფრიალი...

მდიდარს, ჩინებულს ძოჩუბეისა  
საკმაოდა ჰყავს მხნე მეგობრები.  
ძალუძს თვისს სახელს მობანოს მწიკვლი,  
და ააჯანყოს პალტაველები;  
ძალუძს მამობრივ შურის საგებრად  
ბოროტის ჩამდენს მისვე დარბაზში  
თავზე დაატყდეს რისხვისა მედგრად  
და მარჯვედ ჩაჰკრას ხანჯალი ფერდში.  
მაგრამ ამ ჟამად ძოჩუბეისა  
სხვა საგნით უძგერს მხნე გული მკერდში!  
იგი დრო იყო მაშინ რყევისა,  
ძალას იხმევდა როცა ბრძოლაში

და მძლავრდებოდა ახალ-მოზარდი  
რუსეთი პეტრეს გენიის ზრდაში.  
სახელის განთქმის მეცნიერობის  
მსტატი რუსეთს სასტიკი შეხვდა:  
პრა ერთ-გზისად სისხლ-მჩქეფ, ულოდნი  
ბანარკვი მისცა რაინდმა შევდთა.  
მაგრამ ხანგრძლივსა დაჩაგრულობას,  
ბედის წერისგან მოხვედრილ ღიახვრებს  
ბაუძლო რუსმა. ძველადგან თქმულა:  
ჩაქუჩი მძიმე ამსხვრევს რა მინას,  
ბაქედს იმ დროსვე ფოლადს და რკინას.

შუქე სახელით და ძლივა-მოსით  
მხნე ძარლოს ვლიდა თითქო უფსკრულზე:  
მუსრსა ავლებდა რუსების ჯარებს  
ამხედრებული ძველსა მოსკოვზე.  
წინ ირეკდა მათ, როგორც ბუქი მტვერს.  
ბაიხვეტს, ბალახს წააწვენს ველზე.  
ის ადგა იმ გზას, კვალი რიამელზე  
დასტოვა ჩვენს დროს ძლიერმა მტერმა,  
როცა დაცემით შებლალა თვისი  
ბატრიალება ეტლისა ძემა...

შხმოდ შეფოთავდენ უკრაინლები,  
დიდი ხნით ბედის მომდურავობის  
ღვივოდა შორის მათს ნაპერწყლები.  
სისხლ-მჩქეფ წასრულის მოყვარულები  
ნატვრობენ ბრძოლას ქუდზე კაცისას.  
ღრტვინვენ და თხოვენ აზვავებითა

ბეტმანს დალევწვას მათის ჯაჭვისას.  
ქარლოსს ელიან სულ წასულობით  
და განუსჯელის ატაცებითა.  
მაზეპას ირგვლივ შეამბოხენი  
ჰყვირიან «დროა», და ითხოვენ ომს;  
მაგრამ ბეტმანი თავს ისე იჭერს,  
როგორც შეშენის ერთგულს ქვეშევრდომს:  
იცავს სიმკაცრეს ჩვეულებრივსა,  
უკრაინასა დინჯად განაგებს,  
ჰვეყნის ხმას, თითქოს არაფრად აგდებს,  
შეიფს ეწევა დარდის გამქარვებს.

«ბეტმანი რაღას გაჩერებულა?

ასე ჰყვიროდა ქაბუკი ყველა —  
დაჩაჩანაკდა, მოხუცებულა,  
დრომან და ჯათამ გაუქრო ნელა  
ღვაწლისა ჯანი და თავდარიგი;  
ბეტმანის გოგუთს რაღად ატარებს  
ცახცახა ხელით დღეს კიდევ იგი?  
აწ ომის მეხად უნდა ვესხმოდეთ  
საძულველს მოსკოვს, დროა და რიგი!  
აი, ქარმაგსა ჩვენს ღორღუნკოს,  
ან ახალგაზდა სამოილოვიჩს,  
ბინდა პალეის, ან ბორდენკოს  
მხედართ-მთავერობა რომ ჰქონდესთ ჩვენში,  
აშორდებოდათ კაზაკთ სიკვდილი  
შორს, უცხოეთის თოვლისა ქყეპში,  
და უკრაინის მგლოვიარისა

შინ მოვიდოდენ დასნი ჯარისა.“

ასე თვითნებად აღტყინებული  
ღრტვინავს ჩაუქი ახალგაზდობა.  
სახიფათო მას ცვლილება სწყურის,  
ღავიწყებია რა კი მონობა  
უწინდელს დროში თავის მამულის,  
მტრებთან ბოლდანის მარჯვე დავები,  
ძღვევა მოსილი სვრა-შეტაკება,  
წმინდა ომები, შემდეგ ზავები,  
და წინაპართ დროთ სახელოვნება.  
მაგრამ სიბერემ იცის ფრთხილობა,  
ბუმანით მთელსა გარემოსა ჰვრეტს,  
რა შესაძლოა და რა არ ძალუძს  
უცბად, ადვილად ეს არ გადაწყვეტს!

შინ ჩაეშვება ზღვისა უფსკრულში,  
უძრავი ყინვით მთლად დაფარულსა?  
ან და ვინ განჰვრეტს განმცდელი ჰკუთით  
ვერაგი სულის ბედითს უფსკრულსა?  
მისი ფიქრები შელაგმულ ვნებათ  
ნაბარტყებია, ღრმად დაფარული,  
და, ეგებ, ობლად იზრდება აზრი  
მასშივე, დიდი ხნით განზრახული...  
რაზომც მაზეპა გაბოროტებულ  
არის და გულით ყალბობს, ვერაგობს,  
იმდენად უფრო ნილაბ-ადებულ  
შითამ თავდაბლობს, არაფერს დარდობს.  
რა ოსტატური ზედგავლენითა

იგი იზიდავს და ქვრეტს კაცთა გულს,  
მათს ჭკვას განაგებს ხელოვნურადა,  
საიდუმლოს ხსნის სხვისას დაფარულს!  
რა მოჩვენებულ გულ-უბრყვილობით  
იგი ლხინებში მოხუცებულებს  
მბაასება გულის დანდობით,  
და ერთად გლოვენ დღეებს წასრულებს;  
თავისუფლებას ნებიერთ უქებს,  
ღაჩაგრულებთან ხელმწიფებას ჰგმობს,  
ზაბოროტებულთ ცრემლებს ცრემლს აფრქვევს,  
ბრიყვთან ჭკვიანურ სიტყვით ქადაგობს!  
მგება ბევრმა არ იცოდეს, რომ  
ის სულის ჯანით თავ-გამწევია,  
ნამუსიანად და უნამუსოდც  
მტრისათვის მტრობა მას უზღვევია,  
არც ერთი თავის შეურაცხება  
არ ოდეს მას არ დავიწყებია;  
არ უწყიან, რომ თავის ზრახვები  
ზვიად მოხუცმა ვრცელს ჰკრა კამარას,  
არ გაუგიათ, რომ საქმე ქველი  
სძულდა და თაყვანს სცემდა არა რას;  
რომ არაფერი არ ჰყვარებია,  
ძაცის სისხლის ღვრა მიაჩნდა წყლისად,  
თავისუფლებაც შეზიზღებია  
და არსად იყო მამული მისად.

საზარო ზრახვას იღუმალ გულში  
ავი მოხუცი ატარებს ურვილს,

მაგრამ საშიშმა მტრისა თვალებმა  
 ბანკვრიტეს იგი, მიუხვდენ სურვილს.

«არა, ავ-სულო, არა, წამწყმედო!» —  
 ძოჩუბეგ ჰფიქრობს ბრაზმორეული, —  
 „მე ხელს არ ვახლებ შენსა სავანეს,  
 სად ჩემი მარო გყავს დამწყვდეული;  
 ცეცხლით არ დაგწვავ, არც კაზაკის ხმალს  
 წავაგდებინებ შენს ბოროტს თავსა;  
 არა, ავ-სულო, მოსკოველ ჯალათს  
 მოვადებინებ მე შენთვის ბრკყალსა!  
 და როს აგაკვრენ დალურსმულ ბოძზე  
 და ყოველ საღსრით დაიკრუნჩხები,  
 შიციტ გადათქმა როს ვერ გიშველის,  
 და შენსვე სისხლში დაითხუპნები,  
 დაგაწყევლინებ მაშინ იმ წამებს,  
 როცა მონათლე ჩემი ასული;  
 როს ლხინად მჯდომი, გახარებული  
 ბივსებდი ღვინით ფიალს მოყვრობის;  
 ძვლავ იმა ღამეს, როს, ბერო სვავო,  
 დაჰკორტნე მტრედი შენ უმანკობის!“

იყო ერთი დრო, როცა მახეპა  
 ძოჩუბეისა ტოლ-მეგობრობდა —  
 როგორც პურ-მარილს და წმინდა მირონს  
 ბრძნობასაც მასთან იზიარებდა.  
 ზამარჯვებისა ველზე რაშებით  
 ისინი ერთად ცეცხლშუა ჰქროდენ,  
 და მრავალჯერა განმარტოებით

ხანგრძლივობითა ჰუსაიფობდენ.  
ბულღრძო ზეტმანი მოუსვენარის,  
შმაძღარ სულის საიდუმლოებს  
ბუნდად და ცალყბად მას უმელავენებდა;  
აგრევ მომავლის დროთა ცვლილებას,  
მეზობლებთანა მოციქულობას  
და მთელი ერის აღრეულობას  
შრობილად, ქარაგმით აგებინებდა.

იმ დროში გული ძოჩუბენისა  
იყო მახეპას მტკიცე ერთგული.  
მხლა კი, სიმწრით გაშმაგებული,  
მხოლოდ ერთს საგანს ის ესწრაფება,  
ღლიან-ღამიან ერთს და იმასვე  
აზრს ულოლავებს, ეტრფიალება;  
თავს დაილუპავს, ანუ შემბლალავს  
მარიამისას ნაცვალს მიუზღავს.

ზარნა მან ჯაფრი შემმართველი  
დაკრძალა მტკიცედ გულის სიღრმეში,  
შხვაიშნობის მწარე ფიქრებით  
ისწრაფის, ვითამ, შავს სამარეში.  
«ბვი არა მსურს მახეპასათვის,  
ჰველას მიზეზი ჩემი ქალია;  
მან შეარცხენა მშობლის ოჯახი,  
ჰგმო ცა და ქვეყნის სამართალია.  
მე შემინდვია. ღაე, მხოლოდ ლმერთს  
მისცეს ჰასუხი, თუ მართალია».

შავარდნის თვლით ამასობაში

თამამთ, ურყეველთ, მიუსყიდველებს  
მძებს ამხანაგთ შინაობაში.

სოლსა გაანდობს მთლად ხვაშიადებს,  
და დიდი ხნიდან ღრმა საიდუმლოდ  
ზარის დამცემს სწერს იგი ბეზღებას;  
ღიაცურ შურით საესე, სულ წასვლით  
სოლი გულ-ძვირს ქმარს თხოვს დაჩქარებას.  
ღამის წყვდიაღში, თვით ლოგონშიაც  
სულ ჩაჩურჩულებს შურის ძიებას,  
ჰყვედრის, ამხნევებს, ფიცს თხოვს, ღვრის ცრემ-  
და ძოჩუბეი, დაღრეჯით მყოფი, (ლებს  
შეფიცებს — მითი წადილს უსრულებს.

საქმე მოსაზრეს. — ბულ უშიშარი  
ისკრა უმაგრებს ძოჩუბეის მხარს.  
მქვი არა აქვთ, რომ მტერს დაძლევენ,  
ოივარჰყოფენ, თავს დასცემენ ზარს!  
მაგრამ ვის ნახვენ გულ-აგზნებითა  
მოწადინებულს საერთო კეთილს,  
რომ ძლიერს მტერზე მისს მწყალობელსა  
პეტრეს მიართმევს ბეზღების წერილს?

ბედკრულის ქალის დაწუნებულთა  
მალოროსიის კაზაკთა შორის  
მრთს უყვარდა ის განსხვავებითა:  
სიყრმიდგან სწვავდა გულს ცეცხლი ტრფობის-  
საღამოს ეამსა, ან აღიონზე,  
უკრაინისა ბალების ჩრდილში,  
სამშობლო კუთხის მდინარის პირზე



მაროს ელოდა და ამ ლოდინში  
იტანჯებოდა გულით შმაგითა;  
თუმც დასატკობად მისთვის კმა იყო  
სატრფოს დანახვა ერთი წამითა.

შიმედლოდა ტრფობით დამწვარი  
თავს არ აწყენდა ქალს ვედრებითა,  
რადგან უწყალო სატრფოს უარი  
დღეს მოუსპობდა დასწრაფებითა.  
როს საქმროებმა გუნდად და გუნდად  
მაროს სათხოვრად დაიწყეს დენა,  
მაშინ ყრმამ იმათს გუნდს გამოეკლო,  
მლდა ეცა და გაუშრა ენა.

როდესაც უცბად კაზაკებშია  
ბამჟღავნდა მაროს საქმე სასირცხო,  
როს ქვეყნისა ხმამ, ხშირად უწყალომ,  
მის სახელს ქორით ჩირქიცა მოცხო,  
და დასცინოდა ნიშნ-მიგებითა,—

მარიამ მაშინც, უნებლიეთად  
ბუღოს უდაგავდა ქაბუკს ვნებითა.  
სადმე რომ ყური მოეკრა ყრმასა  
უცბად მაზებას ხსენებაზედა,  
ბათითრდებოდა, დაიტანჯოდა  
და დაუშვებდა თვალთ მიწაზედა!

ცით კაშკაშებენ მთვარე, ვარსკვლავნი,  
მხედარი მინდვრად რაშს მიაჰენებს,  
მისია ეგზომ გამძლე მერანი,  
რომ გარბის მინდვრებს, ველთ თვალუწვდენებს?

2  
12  
2

2  
/

ჩრდილოეთისკენ მიჰქრის კაზაკი,  
ოსწრაფის, არ სურს მას შესვენება  
არც ტრიალ ველზე, არცა მუხნარში  
არც ფონი სადაც საშიშრო ხვდება.

ბროლივით ბრწყინავს მისი მახვილი,  
შემოიცი ქისა მას უჩხრიალებს,  
ცხენს მიაჰენებს, გააკრა მიწას,  
მიჰქრის მერანი, უსწრებს ნიავეებს.

ბაჯალლო გზაში შიკრიკსა უნდა,  
ხმალი აშვენებს მამაცს კაბუკსა,  
ბედაურიცა მისთვის ძვირად ღირს,  
მაგრამ კი უფრო აფასებს ქუდსა!

ქუდს ანაცვლებს ის სიამოვნებით  
ცხენსა, ბაჯალლო ოქროს და ხმალსა,  
ქუდსა არ დათმობს იგი უსისხლოდ,  
და ისიც მაშინ, თუ მოჰკრი თავსა!

რად უღირს ქუდი მას ასე ძვირად?  
მად, რომ წიგნი აქვს შიგ ჩანაკერი,  
წიგნი ბეზლისა ბეტმანის ქირად  
პეტრე ხელმწიფესთან მინაწერი!

არ მოელოდა არსით რისხვასა,  
არც შიში ჰქონდა მახეპას არვის,  
საზრავდა ხალხის აჯანყებასა  
ამოსაყრელად საერო ჯაგრის.

თან ჰყავდა ერთი იეზუიტი,  
აძლევედა თათბირს შეთქმულობაზე,  
მხდალს აქეზებდა და თვით მახეპა

სიტყვით აპყავდა სამეფო ტახტზე.—  
ქურდების მსგავსად, ღამის წყვდიადში  
მართად მისდევენ კვალსა რჩევისას,  
შასებს არქმევენ თვის-თვისსა ღალატს,  
მასსაღთა ფიცსა ერთგულებისას;  
ხალხისთვის სწერენ მრავალ ბრძანებმს,  
ქვლავ აფასებენ თავსა მეფისას.  
მორლიკს, ბეტმანის შესულსა კაცსა,  
მიმოჰყავს ვილაც გლახა მთხოვარი;  
ჟოველგან სთესვენ ღვარძლსა მღურვისას,  
ვინც რომ მაზეპას ერთგული არი:  
ღონის კაზაკებს ამღელვარებენ  
მხნე ბულაგინის მეოხებითა,  
ღნებრის ჩხერთ იქით თავხედსა ხროვას  
შიშს ჰგვრიან პეტრეს მპყრობელობითა.  
მაზეპას თვალი ყოველგან სწვდება,  
წერილებს გზავნის თემიდან თემში,  
და ვერაგული დაშინებითა  
შირიმს ამხედრებს შუაგულ რუსეთში;  
მას პოლონთ მეფე უსმენს შარშავში,  
და მჩაკოვში ფაშა ოსმაღთა,  
ბანაკში შევდთა და რუსთა მეფენი,—  
რული არ მოსდის დღე-ღამ მის თვაღთა.  
ბორგავს სულითა, ფიქრით ფიქრსა ზრდის,  
რომ უფრო მარჯვედ მტერს დასცეს ზარი,  
არ უსუსტდების ნება, ბოროტი  
არ უნელდება ვნებაც მას ცხარი.

რა რიგად შეკრთა, რა რიგად აცბა  
და წამოვარდა გველნაკბენივით,  
როცა უეცრად მის წინ დაეცა  
მტრის შურის მეხი ჭეჭა ლა ელვით!  
როცა თავად მას, რუსეთისა მტერს,  
რუსის დიდ-კაცნი მსწრაფლ უგზავნიდენ  
ბეზღების წერილს, მის მტრისა ნაწერს;  
და შესაფერის რისხვისა ნაცვლად,  
მით სხვერპლს ცილისას უთვლიდენ აღერსს;  
თვით პეტრე, ომით უცალო ქმნილი,  
ზიზლით მომსმენი ცილის წამების,  
შურს არ ათხოვებს ბეზღებას, სდუმებს,  
და ნუგეშს უთვლის: რომ მკაცრი სასჯლით  
საუკუნოდა მტრებს ჩაუჩუმებს!

შენაფერები მწუხარებითა  
მაზეპამ პეტრეს ეს მოახსენა:  
ჰვეყანამ უწყის, ერთგულებითა  
მუცი წელია—ხედავს თვით ზეცა—  
ბემსახურები და წყალობითა  
თქვენგან აღვსილი გახლავარ მეცა.  
მკ, რა ბრმა არის და უგუნური  
მოშურნეების ჩემდამი მტრობა!  
რალა დრო არის ჩემს სახელს თქვენ წინ  
ჩირქი მოვცხო და ვიწყო მუხთლობა?  
მე იგი არ ვარ, ვინც სტანისლავსა  
უკმებად ვარი ვუთხარ შველაზე,  
არ დავეთანხმე ჯილდოდ ნაძლევის

უკრაინის ტახტის მას მიღებაზე;  
ვინც პირობები, მიწერ-მოწერა,  
მიო ვალი მეღვა, გაახელ კარზე?  
მე იგი არ ვარ, ვინც ხანის თათბირს  
და ხვანთქრისასაც — გავუდექ განზე?  
პლტყინებული ერთგულებითა  
თქვენს მტრებს, მეფეო, პასუხს ვაძლევდი  
როგორც შემეძლო ჭკუით და ხმლითა;  
შრომას, სიცოცხლეს აღარ ვზოგავდი,  
და აწ ბოროტი მტერი ცილითა  
ჰბედავს შებღალოს ჩემი ჭაღარა!  
მს უნდა მიქნან ძველმა მოყვრებმა —  
ძოჩუბეიმ, ისკრამ, სხვებმა კი არა! •  
ცრემლს ჰღვრის მახევა, და იმათ სიკვდილს  
მეფეს სთხოვს, ტანჯი სხვა არ აკმარა.  
ვინ უნდა მოჰკლას ავმა მოხუცმა?  
ვის ქალს ეხვევა, აღარა ჰფიქრობს?  
მაგრამ უგრძნობლად თავის გულისას  
მიძინებულსა მხილებას იღშობს.  
ის ასე ფიქრობს: რად დაეზმანა,  
მართი ვიცოდე ჭია გველსაო?  
თვით ძოჩუბეი, გონება-ლაღი,  
თავისთვის ლესავს ჭირის ცელსაო.  
სით მირბის ასე თვალებ დახუჭვით?  
იმედი ვისგან უნდა ჰქონდეს ხსნის?  
მგებ მაროსგან... მაგრამ ტრფიალი  
ჩემგან მაროსი მის თავს ვერ იხსნის.

ბეტმანი დასძლევს მიჯნურს ყველაფერად,  
თვარა მეწვევა ამო დღე მტრისთვის...

საწყალობელო მარიამ, ტურფათ  
ჩერქასელთ ასულთ შარავანდედო,  
რა გველია მაგ არ იცი, მკერდში  
ბამთბარი რომ გყავს — შენი საბედო,  
რა უცნაური ჯადოსნობითა  
შენ მიგიზიდა ასე ძლიერად  
სულმა გარყენილმა, სულმა მძვინვარემ?  
მის ჩაუვარდი ხელში შენ სხვერპლად?  
მისი ქალარა ხუჭუჭი თმები,  
მისი სახისა დაღმეჭილობა,  
თვალნი ბრწყინვალე, ჩაცვივნულები,  
მისი საუბრის დაკვანძულობა  
შველაფერს გიჯობს — ეშხით ხარ მთვრალი!  
მისთვის გაწირე შენ ღვიძლი დედა,  
დაჰგმე მშობლების სახლი და კარი!  
უცნაური და ეშხიან თვალით  
ბერი კაცისგან ხარ მოხიბლული,  
მისი ლაქუცა მჭევრმეტყველობით,  
სინიდისი გაქვს მიძინებული,  
იმდენადა ხარ დაბრმავებული,  
რომ მას შეპყურებ სასოებითა,  
თავსა ევლები და შენვე სტკბები  
შენივე ლაფით და სირცხვილითა;  
მსდენ მოგხიბლა გრძნობა-ჭკუით, რომ  
მისით ამაყობ ისე, ვით ქალთა

ღამაშვენებელ უმანკოებით,  
და მორცხვობისა სათნო სიტუორფეც  
უკვე დაღუბე ბოლო მოღებით.

არაფრად აგდებს მარიამ სირცხვილს,  
არც მთელი ერის მითქმა-მოთქმასა,  
არც ქვეყნის მღურვას, რადგან მაზეპა  
ამაყს თავს აყრდნობს იმის კალთასა.  
მასთან აღერსი დარდს, მღელღარებას  
მაშვრალს მაზეპას ავიწყებს მთელად,  
საზაროსა და თამამსა ფიქრებს  
მას, მშიშარა ქალს, უმხელს გულწრფელად.  
არ ენანება მარიამს თვისი

წასრულნი დღენი უმანკობისა,  
ხოლო ხან და ხან, გველივით, ერთი  
ზულს ჰკბენს მას გესლი მქმუნვარობისა:  
თვალთ ელანდება გულ-დაჩაგრული  
ღედ-მამა, მისგან დაშორებული,  
სიბერის დღეში ერთად ერთისა  
ქალიშვილისგან მიტოვებული...  
მლანდება და ჰგონია, რომ ყურთ  
მსმის მშობლების საყვედურები...  
ის კი არ იცის, რომ მისივ ამბვით  
ზაქედელი აქვთ ყველას ყურები!  
მაგრამ ჯერ მისგან დამალულია  
საიდუმლონი შესაზარები...





სიბღურა ბოტრუ.

**მ**აზებას, ზაფრით დაღვრემილს, ჭკუას  
და გონსა უკრობს მქაფრი ოცნება.  
მარიამ თავის ქმარს მოხუცებულს  
სიყვარულით მზერს, ტრფობით ეგზნება,  
მუხლებს ეხვევა, ელაციცება,  
მაგრამ ამაოდ: მაზებას ფიქრებს  
მისი ტრფიალი ვერ შეაჭრის ფრთებს.  
საწყალობელის ცოლის წინაშე  
მაზება ღუნავს თავსა უგულოდ,  
და ტრფიალითა ლაციცობაზე  
პასუხსა უგებს დუმილით მხოლოდ.  
მარიამს უკვირს ეს საქციელი,  
წამოვარდება გულისა ძგერით,  
და ამას ჰკადრებს ქმარს გაბრაზებით:



«**შური** მომაპყარ, **ბეტმანო**: შენთვის  
მე ყველაფერი უარ ვყავ ქვეყნად,  
შენ შეგიყვარე სამარადისოდ,  
შენი ტრფობა მაქვს ნუგეშად, საგნად.  
მაგ გრძნობისათვის გაეწირე ბედი,  
და აღარაფერს აღარა ვნაღვლობ,—  
ბახსოვს საზარო ის მყუდროება,  
როცა შევიქენ შენი, იმ ღამეს,  
არ გახსოვს ფიცი «მეყვარებო?»  
აწ რაღად მაკლებ მე შენსა აღერსს?»

### მაზჰჰა.

სატრფოვ, შენ გფიცავ, უსამართლო ხარ,  
დაეხსენ მაგგვარ რეგენურ ოცნებას,  
მაგ იქვებითა გულს ტყვილა იხეთქ,  
აჩაგვრევენებ გრძნობას ბრმა ვნებას.  
მენდვე, მარიამ, შენ უფრო გეტრფი  
ვიდრე ჩემს სახელს და ხელმწიფებას.

### მარიამ.

არ მჯერა. შენ გსურს მე მომატყვილო.  
ჩვენ სულ აქამდის ვიყავით ერთად,  
ღღეს კი გაურბი შენ ჩემსა აღერსს,  
და ჩემი ტრფობა მიგაჩნის ტვირთად.  
მთელი დღეობით თავ კაცებში ხარ,

ლხინში ან მგზავრად, ივიწყებ მაროს.  
ღამე მარტოდ ჰზი, ანუ მთხოვართან,  
ან ეზუიტთან ატარებ კვლავ დროს,  
და მოკრძალებული ჩემი ტრფიალი  
შენს მკერდში ჰპოებს ცივს გულს უგრძნობსა,  
წლევულს ღვინოსაც მიირთმევ თურმე  
ძალბატონ ღულსკის სადღეგრძელოსა.  
მარქვი, ვინ არის ის ქალბატონი?

### ზაჭუჰა.

იქვენეულობ თუ? ჩემის ხნის კაცის  
რალა დრო არის კეკლუცო ტრფიალი?  
აწ აღარ ძალმიძს მოკლილ ყრმასავით  
ტურფას ავუნთო ვნებისა ალი,  
ბავება ეშხის მახეს სასირცხოლს,  
საესავ საგნად მიმაჩნდეს ქალი!

### მარიაღ.

ბრა, ქარაგმით ნურათფერს აზბობ,  
პირდაპირ მითხარ სიტყვა მართალი.

### ზაჭუჰა.

სულის სიმშვიდეს შენსას ძვირად ვთვლი,  
რაც იყოს, იყოს, — გეტყვი ხვაშიადს:

დიდი ხანია ერთს საგანს მივსდევთ,  
მისგან მოველით ნაყოფსა დიადს.  
სანეტარო დროს მოვესწარით ჩვენ:  
დიდებულ ბრძოლის დაჰკრა საათმა...  
შთავისუფლოდ და უსახელოდ  
დიდი ხანია რაც ჩვენმა ხალხმა  
ითმინა პოლონთ ზე-მფარველობა,  
რუსების მძიმე თვით-მპყრობელობა:  
აწ თავისუფალ სახელმწიფოდა  
ღროა ცხოვრობდეს მოლოროსსობა!  
სისხლის სანთხევის თავისუფლების  
აემართე დროშა, ძირს მტერთ მთავრობა!  
მთლად მარაგად მაქვს სულ ყველაფერი,  
თვით პაემანიც ორი მეფისა,  
ბრძოლისა ველზე გამოდის ერი...  
მგებ ხელთ ვიგდო ტახტიც მეფისა!  
მეგობრებიცა საიმედო მყავს —  
თავადის ქალი ღულსკი და მასთან  
იეზუიტი და ის მთხოვარი.  
საქმესა ჩარხვენ და ბოლოს კარგსაც  
მისცემენ, სრული იმედი არი.  
მათ მეოხებით ვიღებ მეფეთგან  
ზამონაგზაენთთა წერილთ, სიგელებს.  
სრული სიმართლე გაუწყე, მიხვდი  
ახლა ხომ მაინც, თუ რა მახელებს?  
კმაყოფილი ხარ? ურთა შეაკვეცე,  
თუ კიდევ არა მტანჯველ ოცნებებს?

მარიაშ

ოჰ, ჩემო ტურფავ, კიდევ იქნები  
შენგან დახსნილის მამულის მეფედ!  
რა დაშვენდება შენსა ჭალარას  
სამეფო ჯილა მოელვარე ზედ!!

მაჭუპა.

მოიცა. შონი, თქმულა გასაველს.  
მოსალოდნია კიდევ ხიფათი.  
შინ იცის, ბელი ხვალე რას მიზამს!

მარიაშ.

შენთან ვარ, შიში არაფრის არ მაქვს!  
ძლიერებითა ვინ შეგედრება?  
შიცი და გულიც მეუბნება, რომ  
სამეფო ტახტი შენ არ აგცდება!

მაჭუპა.

ტახტის. წილ თოკი ბედმა რომ მარგოს?

მარიაშ

ღე, მეც გავებმი მაშინ იმ თოკში,

შენს შემდეგ ღმერთმა ნულარ მამყოფოს!!  
მაგრამ არ მჯერა მაგ ბედის იყო:  
მესავ შენს სახის იერს სამეფოს.

ღაჭუჭა

გიყვარვარ?

ღარცაღ.

გიყვარხარ?! საკითხავია!

ღაჭუჭა

შინ უფრო გიყვარს: მამა თუ ქმარი?

ღარცაღ

ჩემო ძვირფასო, მაგას რად მკითხავ?  
მაგით მეცემა გულს ზაფრის ქარი.  
მცდილობ დედ-მამის დავიწყებასა,  
თვითვე ვგრძნობ—მათთვის ვარ სასირცხვილო.  
მგების მამამ კიდევ გადამცა,  
ღა ვის წყალობით, ვილას შევჩივლო!

ღაჭუჭა.

მაშ, მე გიყვარვარ მამაზე უფრო!

რალად გაჩუმდი?

მარიაშ.

ოჰ, ლმერთო.

მამუჰა.

სთქვი, რალა.

მარიაშ.

თვით გადასწყვიტე!

მამუჰა.

მსთქვათ, რომ ჩვენ ორში ერთ-ერთი უნდა  
იყოს სიკვდილით საწამებელი,  
და შენ მსაჯულად იჯდე,—ჩვენ ორში  
მისი იქნები თანამგრძნობელი,  
მის გაწირავდი, ვის დაიცავდი!

მარიაშ.

ქმარა, მეყოფა, გულს ნუ მიქენჯნი,  
ნულარ ხარ ჩემი მსაწამებელი.

მამუჰა.

არა, უნდა სთქვა.

## მარიაშ

ბათითრებულხარ... აშბობ საშინელს...  
ზული ნუ მოგდის! მზად ვარ ყოველი  
შენ შემოგწირო, შენ განაცვალო.  
მაშინებს ამის თქმა საშინელი.  
მაკმარე.

## მაჭყპა.

ზახსოვდეს, მარო, რაც ეხლა მითხარ.

მყუდრო ღამეა უკრაინისა.  
ცაზე ვარსკვლავთა გუნდი ბრჭყვიანებს,  
ჭაერს აღარ სურს განიფრთხოს რული  
ბოკვთა ფოთლები ოდნავ შრიალებს:  
ბადრი მთოვარე ცის ზესკნელიდან  
ტურფად დანათის თეთრს ეკლესიას,  
და ბეტმანისა მდიდრულსა ბაღებს  
და ძველს ციხე-კოშკს უხვად ჰფენს ციანს.  
მირინდებულა მთლად არე-მარე,  
მხოლოდ კოშკშია რაღაც ფაცური.  
მრთ-ერთს დილეგში, თავის ამარე  
ძოჩუბეი ზის ღრმა ფიქრს გართული,  
ხუნდებ გაყრილი, იგი პირქუშად  
ზეცას შეჰყურებს წარბებ შეკრული.  
ხვალ აწამებენ. მაგრამ უშიშრად  
დაუხვდება ის ტანჯვას ხვალინდელს;

არ ენანება სიცოცხლე. სიკვდილს  
იგი მოელის ვით ძილს სანატრელს...  
თვლელმა ერევა — მხოლოდ ერთი რამ  
ზულსა უღადრავს, ტანჯავს, აწვალებს:  
„მოკვდე და ვისგან! მაზეპასაგან,  
და ისიც ნაცვალ მიუგებელად?  
რა ვუთხრა ჩემს ბედს! თვით მეფემ მიმცა  
თავისვე მტერსა საწამებელად.  
სიცოცხლეს ვკარგავ, ამას არ ვტირი —  
მეკარგვის მასთან თვით სახელიცა;  
ჩემ-გამო ჩემთან უნდა აწამონ  
აგრეთვე ჩემი მეგობრებიცა,  
სათლავში მათი წყევლა ჩამყვება;  
შბრალოს უნდა წამქრან კისერი,  
მტერი ღიმილით თავს დამადგება  
როს ხელს გადამხვევს სიკვდილი მტერი.  
ასე ვთავდები, ვერვის ვანდერძობ,  
რომ მტერს შიაგოს ჩემ-მაგიერი.!

და მოაგონდა თავის ჰალტავა,  
მეგობრების წრე, ოჯახის კერა,  
სიმდიდრე განვლილთ ღღეთ და სახელი,  
თავის ასულის ტკბილი სიმღერა,  
ძველი სასახლე სად დაიბადა,  
სადაც გაეცნო ღვაწლს, მოსვენებას;  
ძვლავ გაახსენდა რაც სიცოცხლეში  
ჰგვრიდა ტკბილ წამებს სიამოვნებას,  
და რაც უარჰყო თავისვე ნებით.



ამ დროს რაზაში გასაღების ხმა  
ქოჩუბებისა ბედკრულს მოესმა.  
ზამოედვიდა, გულში გაივლო:  
მს უნდა იყოს მამა მოძღვარი.  
სისხლით მოსარწყავ წამების გზაზე  
სურს მიწინამძღვროს მაცხოვრის ჯვარი.  
ცოდვის მძლე შემნდობს, სულიერს მკურნალს,  
ჩვენთვის ჰვარცმულის მსახურსა მოაქვს:  
წმინდა სისხლი და ხორცი მაცხოვრის.  
ღმერთო, სიკვდილსა მხნედ შემახვედრე  
და განმისვენე წმინდათა შორის!  
და გულითადი სასოებითა  
ქოჩუბების სურს, მხურვალ ლოცვითა  
რომ შეავედროს არსთა შემოქმედს  
თავის ვარამი, ზაფრა გულისა,  
მაგრამ ამ დროსვე კარზე მომდგარს ჰერეტს  
ზანდეგილის წილ—მძვინვარ ორლიკსა.  
ბატაცებული მისდაძი ზიზლით  
სიმწარით ჰკითხავს—შენ გარეწარო,  
შენ არა წმინდა, რაღად მოხველი?  
უკანასკნელსა სავანეშიაც  
აღარ მასვენებს ის სამოველი?

### ორლიკ.

ზეტმანმა ბრძანა, რომ კვლავ ჩვენება  
შენ ჩამოგართვა, მისთვის მოველი.

კორუბი:

ნათქმი მაქვს წინად. აწ კი მომზორდი.

ღრლივ.

ბატონს ზეტმანს სურს, რომ კიდევ ერთი  
ზამოტეხილი გათქმევინოს რამ.

კორუბი.

რალა უნდა ვსთქვა? რაცა გინდოდათ  
ხომ გაგიმქლავნეთ სულ ყველაფერი?  
იგი ჩვენება ტყუილი იყო.  
მე მახეს გიგებთ, მე ვარ ცბიერი.  
სულ მართალია თქვენი ზეტმანი.  
სხვა რა სურს ჩემგან გულს ჩემის მტრისა?

ღრლივ.

შველამ ვიცით, რომ უთვალავისა  
პატრონი იყავ შენ სიმდიდრისა,  
რომ ლიკანკაში დამარხული გაქვს  
მრავალი განძი ოქრო-ვეცხლისა.  
შენ უნდა მოკვდე. რაც ქონება გაქვს  
მოემატება თანხას ერისას.  
ასეა წესი. ახლა გახსენებ

შენს უკანასკნელ მოვალეობას:  
ბამოტყდი, გვითხარ, სად ვპოვებთ დაფლოულს  
შენსა უთვალავს განძეულობას?

კორუში.

სულ სამი განძი, სამი სიმდიდრე,  
ზიდრე ვცოცხლობდი მიტკობდა სულსა:  
პირველი იყო ჩემი სახელი —  
მითი მომქონდა თავი ბედკრულსა;  
მტრისგან წამებამ იგი წამგვარა...  
მეორე განძი ჩემის ასულის  
იყო ნამუსი. ის მოიპარა  
უნდო მაზეპამ ვერაგობითა.  
მაგრამ დავკრძალე შურის ძიება,  
ის ჩემთვის წმინდა განძი მესამე, —  
მას მივუტან ლმერთს, ვისაც ვესავ მე.

ორლივ.

ხელი ააღე მაგ გვარს ჩმახვასა!  
შენ წუთის სოფელს დღეს ეთხოვები —  
სულზე იზრუნე. თუ კვლავ ტანჯვასა  
არ გსურს შეემთხვე, — შენი განძები  
ზვითხარ, სადა გაქვს დანაკრძალები?

კორუში.

ავ-სულო მონავ!

აღარ ათავებ უგნურ კითხვებს შენ?  
ღამაცა, ბარემ კუბოში ჩავწვე,  
მერმე მისდექით მაზება და შენ—  
ითვალეთ ჩემი სამკვიდრ-საგანძე;  
სისხლიან ხელით ჩემი სარდაფნი  
მთლად გადათხარეთ, აჩებეთ ბალი,  
სახლები ჩემი ცეცხლითა დაწვით;  
თან წაიტანეთ ის ჩემი ბაღლი,  
იგი გაიმბობსთ წვრილად ყველაფერს,  
ბიჩვენებსთ ჩემსა განძსა დამარხულს,—  
მღონდ ეხლა კი, გაფიცებ შენს ღმერთს,  
ღამტოვე ჩემდა, მომშორდი ბედკრულს!

### თრლივ.

შული სად ჩაჰფალ,—ეს უნდა გვითხრა.  
არ გვეუბნები? სთქვი, სად გაქვს ფული?  
თვარა ბოლო აქვს ცუდი ძიებას.  
ბამოტყდი: სად გაქვს განძი დაფლული?  
ხმასაც არ იღებ? მაშ შენს წამებას  
მხლავე ვბრძანებ. ჰეი ჯალათო!

ჯალათი გაჩნდა იქვე, ერთს ლანდზე.  
მკ, საშინელის წამების ღამე!  
მაზება არ სჩანს. სად გაექცა ის  
პიცხვა-მხილებას გველურ სინდისის?  
მაროს საწოლში, ვისაც ამ ამბავთ  
არ ცოდნა ჯერეც ნეტარებას ჰგვრის,

თავის ნათლულის სახლის მეზობლად  
თავ-ჩაქინდრული, კუშტად მდუმარე,  
წარბ-შერქმული ზის მახეპა ობლად.  
მოზვავებია შავი ფიქრები:  
ბადუწყვეტია ჭოჩუბეგ მოკვდეს  
ხსნა არაფრის გზით არ შეიძლება!  
ღრო შურის გების რაც ახლოვდება,  
სულ ამას ჰფიქრობს მახეპა, მაგრამ  
ცოლის სარეცელს რა აკვირდება —  
ოჰ, შემოქმედო, — გულში გაივლებს—  
როცა ეს ამბავს ზარისა მომგვრელს  
შურს მოჰკრავს, მაშინ რას მოიქმედებს?  
ჯერ კიდევ არის მოსვენებული,  
მაგრამ ხვაშიადს მეტს ვერ დავფარავთ:  
ხვალ დაეშვება სიკვდილის ცელი—  
და მთელსა ხალხში გაისმის ზარად.  
მთელის ქვეყნის ხმა ამის გარშემო  
შველაფერს იტყვის დაუფარავად!  
ახლა კი ვხედავ: თუ წერისაგან  
წილ-ხდომილია კაცი ბედთან ომს,  
მარტო დაუხვდეს სჯობს ელვა ჭექას  
და ცოლს ნუ ირთავს—ხელს ვერ მოუწყობს;  
მართსა უღელში ვერ შეეგმიან  
მკრთალი ირემი და ბედაური.  
ბაუფრთხილებლად გავთავისწინდი —  
და ახლა მხდება ბრიყვთა საური!  
რაც საუნჯეა ფას-დაუთქმელი,

რაიცა გვიტკობს ქვეყნად სიცოცხლეს,  
მე შემომწირა მან ყველაფერი,  
და რა მოელის ნაცვლად ჩემგან დღეს?  
მას ზარი უნდა მე დავცე თავზე!  
ქვლავ გადახედა მაზეპამ მაროს,  
და მას კვლავ სძინავს მშვიდს სარეცელზე  
სიყმაწვილის ტკბილ მოსვენებითა.  
თვით ძილი დასტრფის ტურფას მძინარეს!  
ბაგე გაეპო და უშფოთველად  
შმაწვილი მკერდი მისი ფშვინვარებს...  
აქ სახვალთო საქმე მაზეპას  
ბაახსენდა და იბრუნა პირი.  
აღვა და ბალში ფეხებ აკრეფით  
მიდის, ხევნარი იქ ხვდება ხშირი...  
მყუდრო ღამეა უკრაინისა,  
ცაზე ვარსკვლავთა გუნდი ბრჭყვიალებს,  
ჰაერს აღარ სურს განიფრთხოს რული,  
ბოკვთა ფოთლები ოდნავ შრიალებს.  
ბნელი ოცნების უცნაურ გუნდი  
ქენჯნის მაზეპას, გულსა უბზარავს,  
ღამის ვარსკვლავნი, ვით ბრალმდებელის  
თვალნი, დასცქერენ იმის ქალარას,  
აღვის ხეები, მიჯრით ჩარგულნი,  
ოდნავ არხევენ მალალ მწვერვალებს,  
და ჩურჩულებენ მსაჯულებივით.  
ზაფხულის თბილი ღამე მას ბნელი  
სულისა უხუაავს ცივ დილეგივით.

შცებ, მოესმის სუსტი კვილი,  
თითქო კოშკშია ვილაცა ოხრავს...  
სიზმარი იყო, თუ ბუს ძახილი,  
წამების კვნესა, ნადირთ ზუილი,  
ანუ სხვა რამ ხმა — მაზებამ მაინც  
ველარ დასძლია მღელღარებასა,  
და იმ სუსტ კვილს თავის მკერდიდან  
ძივილითავე ის აძლევს ბანსა.  
ხმას აძლევს იგი იმავ კილოზე,  
რომლითაც ხშირად აღტაცებითა  
მძლედ გაჰკიოდა ბრძოლისა ველზე,  
როცა ზაბელა და ბამალეი  
რაშთ აქენებდენ მასთან ხმლით ხელში,  
და თვით ეს... შავ-დღის ეს ძოჩუბეი  
მის გვერდით ჰქროდა ომის ქარ-ცეცხლში!

ცისკარმა ფრთები აღისაფერი  
ცის მიდამოს ჰკრა, გაჰფანტა ბნელი;  
ბანაბრწყინა მთა, ბორცვები, ველი,  
ხვენართ კატარნი და მქველნი წყალთა,  
ზაისმა დილის მრგვლივ ქრიაშული,  
ბამოელვიძა ადამიანთა.

მარიამ კიდევ ჯერ ტკბილად სუნთქავს,  
მთლად შეუპყრია ძალას თვლემისას,  
და ფხიზელს ძილში, უცბად ფეხის ხმას  
მოცაჰკრა ყური მან ვილაცისას.  
მოსულმა ხელი ჰკრა მაროს ფეხზე  
და მყის გაუქრო სიტკბო ძილისა,

მაგრამ იმ წამსვე თვალი ღიმილით  
ღაახუჭვინეს მზის სხივთ დილისა.  
მართავ ხელს უწვდენს მარო მოსულსა  
და მიბნედილი, ეშხ-მორეული,  
მაზება ხარო? ეკითხება მას,  
მაგრამ მოესმის ხმა სხვისეული.  
მარო შეკრთება, მიმოიხედავს...  
და თვით ღვიძლს დედას თავის წინ ხედავს..

ღეღა.

სუ, შვილო, ყური არ მოგვკრან, ჩუმად!  
თვარა უთუოდ დავიღუპებით.  
შემოპარული ვარ აქ ქურდულად  
რომ გთხოვო ერთი რამ ცრემლთა ფრქვევით.  
სიკვდილით სჯიან დღეს უბედურსა...  
შვილო, შენ, მარტო შენ მოარჯულებ  
იმათს გულის თქმას გამხეცებულსა!  
შვილი მშობლისთვის, ამ შავის დღისთვის,  
უშველე მამას გაჭირვებულსა!

შვილი (ზარ-დაღმწელი).

მინ, ვისი მამა? მინ უნდა მოჰკლან?

ღეღა.

როგორ? შენ დღემდის არა იცი რა?



შდაბნოში ხარ, თუ სასახლეში?  
უნდა იცოდე რა ძლიერია  
და ზავთიანი გეტმანი ჩვენში;  
რა რიგად თავის მტრებს უგებს შურსა,  
როკორ უჯერებს მეფეც ყველაფერს, —  
მაგრამ გატყობ, რომ ოჯახს ბედკრულსა  
ჭგმობ, სხვერპლად სწირავ მაზებას, ჩვენს მტერს.  
მამას უღმერთოდ გისამართლებენ,  
უკითხვენ მტრები მკაცრსა განაჩენს,  
მშუქრებიან თავის წაკვეთას  
და შენ კი გძინავს?... მაჰმე, დედა შენს!  
მარო, შეხედე ლმერთს, ჩემო შვილო,  
წა, გაეჩქარე, შეჰვედრე ბეტმანს,  
დაიხსენ მამა, გვექმენ მთარველი:  
შენ რომ შეხედავ, ბოროტ განძრახვას  
მათსა შეეკვრის მაშინვე ხელი,  
და ცულდს, მოქნეულს, ააცდენ მამას.  
წა, სთხოვე გეტმანს, უარს ვერ გეტყვის:  
შვილო, ნამუსი მას არ შესწირე?  
მისთვის არ ჰგმე ცა და შემოქმედი  
მშობლებიც მისთვის შენ არ გვატირე?

შვილი.

რა მემართება!. მამა... მაზება...  
სიკვდილით დასჯა და აქ, ამ სრაში,  
სახვეწნად ჩემთან მოსული დედა —

ან გადვირიე, ან ვარ სიზმარში.

ღუღა.

რას ამბობ შეილო, რისი სიზმარი?  
რაც გესმის ნამდვილ მართალი არი!  
ნუ თუ არ იცი—შენი სირცხვილი  
შერ დათმო მამამ გააფთრებულმა,  
და დააბეზლა მეფეს გეტმანი  
შურის ძიებით აღბორგებულმა?  
ნუ თუ არ იცი, რომ ის აწამეს  
და გატყდა ზრახვა-დანაპირებში,  
რომ დაბეზლება თვით აღიარა  
ცილის წამებად მან ყველაფერში;  
რომ მისი თავი ხელში მტერს მისცეს,  
და ღვთის ზანგებამ თუ არ უშველა,  
მაშინ უთუოდ დღეს უნდა მოკვდეს  
საჯაროდ, მინდვრად, რომ მზერდეს ყველა-  
ნუ თუ არ იცი, რომ ის სასახლის  
აქ ზის დილეგში, სად ჰყარს და ბნელა?

შვილი.

ოჰ, ღმერთო! დღესვე! საბრალო მამა!  
მს-ლა წარმოსთქვა კი ქალმა ძლივსა,  
და მყის ჩაეცა თავის ლოგინში  
ისე, ვით გვამი ეცემა მკვდრისა.

ხალხი ფუსფუსებს. მლავს შუბები,  
ღაფსა სცემენ და ჭენებ-ჭენებით  
თავს იყრის ჯარი სერდიუკებისა;  
იქვე რაზმებად იწკაპებიან  
ბუნდი და გუნდი სხვა ჯარებისა.  
ბროვა მჭვრეტელთა ჰდულს და გადმოდის.  
ჟველა იქ მყოფის გული სცემს და თრთის.  
ბზაზედა ხალხი, მიჯრითა მდგომი,  
ირევა, როგორც ხროვა ჯიანჭვლის.  
მინდვრად ფიცრული თავ-საკვეთია,  
ჯალათი დადის ზედ მხიარულად:  
შმაძღარ სვავებრ მოელის სხვერპლსა,  
მთამაშება ცულდს მეგობრულად,  
ხუმრობას ჰმართავს ბრბოსთან უნდილსა.  
იქ მყოფთ ფუჩუნნი გრგვინვად გადიქცა,  
ქალთა კივილსა, ლანძღვას, სიცილსა  
და სამღურავსა არ აქვს საზღვარი.  
შცებ ვილაცამ წამოიძახა—  
ღა მყის დაღუმდა ყველა, ვით მკვდარი.  
სიჩუმე სუფევს. მხოლოდ მოისმა  
შორიდან მხედართ ცხენთა ფეხის ხმა,  
და თვალი მოჰკრეს: დიდი გეტმანი  
შავს ცხენს ამაყად მოაჭენებდა,  
სერდიუკებთ რაზმი გარს შემორტყმოდა,  
თავ-კაცთა დასი მხარს უშვენებდა.  
ბილმა, ძიევის შარა-გზაზედა  
მრთი ურემი მოჭრაჭუნებდა.

ჰველამ დაუწყო ცქერა იმასა.  
შიგ ქოჩუბეის ხედვენ მართალსა,  
ცა და მიწასთან შერიგებულსა,  
სარწმუნოებით გამხნეებულსა.  
ბვერდით უჯდა მას ისკრა გულ-გრილი,  
ზვარაკებრ, მწარე ხვედრის მორჩილი.  
შედგა ურემი და მრგვლივ გაისმა  
მგალობლებისა ლოცვა ხმა მალლად.  
საცეცხლოურებით აკმევენ საკმელს.  
ბედკრულთ მათ სულის განსასვენებლად  
იქ დამსწრეთ უხმოდ ლოცვა დაიწყეს;  
თანჯულებმა კი მტანჯველებისთვის  
შენდობა აგრევ ლმერთს შეავედრეს.

აჰა, აღიან თავსაკვეთზედა.

ქოჩუბეგ წვება პიჯვრის წერითა...  
ჯალათმა დაჰკრა ნაჯახი მჭრელი,—  
თავი წაგორდა სისხლის ჩქეფითა...  
ზარი დაეცა ხალხს მაყურებელს...  
ისკრას თავიცა სისხლის ღვართა  
მისდევს მეგობარს განუშორებელს.  
მთლად შეილება მიწა სისხლითა.  
ბახარებული ბოროტ გულითა  
ჯალათი დაწვდა ორსავე თავებს,  
ღა, ელდა ნაკრავ მჭვრეტელ ხალხის წინ,  
მარჯვედ ქოჩრითა მიმოაქანებს.

ბათავდა. მოჰკლეს დღეს ორი სხვერპლი.  
მიმოიფანტა ბრბო უდარდელი.

სახლს მიმართა მან, საუბრის საგნად  
იგივე ჯავრი აქვს მას კვლავინდელი.  
თან და თან იგი იცლება ველი.  
ზაბრუნებულთგან აკრელებული  
ზნა გადირბინა ორმა ასულმა.  
ღაღლილან კიდევ, გასვრილან მტვერით  
და ეტყობათ, რომ თავსაკვეთს ადგილს,  
მიეშურებათ მათ გულის ძვერით.  
«ღაგავიანდათ» ვილაკამ უთხრა  
და თავსაკვეთი უჩვენა ხელით.  
იქ ფიცრულს მუშა ანგრევდა, დარდი  
არ ქონდა ლოცვის იქ მდგარ ხუცისა,  
სადაც სიჩქარით ორი კაზაკი  
ურემში სდებდა კუბოს მუხისა.  
ცხენოსანთ რაზმის წინ ზავთიანი  
მაზება მიდის განმარტოებით.  
თანჯავს მას სულის ცალიერობა  
საშინელების ამაოებით.  
ვერვინ უბედავს დაახლოვებას,  
და იგი თავად ხმას არავის სცემს;  
მფლად ქცეულსა ცხენს მიაჭენებს,  
მივიდა სახლში. მყისვე ფარეშებს  
დაეკითხება მაროს ამბავსა.  
პასუხს აძლევენ მას გაურკვეველს,  
ბუტბუტით მოჰყვენ რაღაც ჩმახვასა...  
უეცარ შიშით გულზე ნაკბენი  
შეიჭრა იგი ცოლის საწოლში—

საწოლი დახვდა მას ცალიერი,—  
ბალსა მიმართა, ეძებს ჩეროში,  
მაგრამ ვერც ხეს ქვეშ, ვერც შადრევნებთან,  
ვერც დერეფნების მყუდრო ბნელოში  
მაზეპამ მაროს ვერ ნახა კვალი,—  
ბაპარულია! ერთგულთ სერდიუკებთ  
უყივის, ბრძანებს: დამდეთო ვალი...  
შეიქნა ცხენთა ფრთხვენა, ქენება,  
მღევართ კივილი დადევნებისა,  
ვინ ვის გაუსწრებს — მიჰქრიან ყოვლგან  
საითკენც ნათელს კი ხედვენ ცისა!

ჟამი ჰრბის, ჟამი ფას-დაუთქმელი,  
მარო მაზეპას აღარ ჰყავს, არა...  
არავინ იცის, არც ვის სმენია  
რისთვის და როგორ ის გაიპარა. —  
მაზეპა ჯავრით გულსა ასკდება,  
სულ-განაბულ ყმათ ჰგვრის შიშის ზარსა.  
შხამი დარდისა უღიადდება,  
საწოლში შევა, ჩაიკეტს კარსა;  
იტანჯვის, რული არ მოსდის თვალსა.  
ღილა-ადრიან შინ ბრუნდებიან  
მოყმენი, მღევრად გაგზავნილები.  
ზოგს დაჰკარგვია აღვირი, ნალი  
თოქალთო, ქეჩა, მოსართავები; —  
ზოგს მოჰყოლია ნამსხვრევ-ნაბალთი  
სისხლსა და ოფლში განაშავები.  
ძღრვს ადგმენ ფეხსა მათი ცხენები.

მაგრამ საბრალოს მაროს ამბვისა  
ვერ გაუგიათ მათ ვერაფერი,  
და მისი კვალი არსებობისა  
ბაჰქრა, ვით გრიგალ-ქარით ეთერი...





## სიმღერა მესამე.

**ფ**ისწრაფებასა სანატრ საგნისას  
ბეტმანს ვერ უშლის ღრმა მწუხარება.  
თან და თან უფრო გულს უმაგრეს მას  
შვედთა მეფესთან განწყობილება.

ღრო-ყამი მიდის. რუსნი ამაოდ  
სტუმრების წვევას მოსკოვს ელიან,  
მტერთა ძველ სამარხთ შორის იდუმალ  
შვედთათვის ქელებს ემზადებიან.

უცრად ძარღმა გზას აუქცია  
და მსწრაფლ მიმართა უკრაინელებს:  
ღღე სანატრელი გათენდა მათთვის—  
სწორედ ეს წყურდათ გულით ყმაწვილებს!  
მაზებას გული უცემს საგულეს:  
ჯართ წინ მიმოჰქრის, თვალთაგან ცეცხლს  
მოიგდებს მერანს, ხმალსა იზიშვლებს (ჰყრის,



და ღესნასაკენ საომრად მიჰქრის,  
მღვასებრ სწრაფად ესე ამბავი  
მოედვა მთელსა უკრაინასა,  
საერო ბრძოლის ავარდა ალი:  
სისხლი მოსწყურდათ მხცოვანს და ყრმასა!  
რისხვას პეტრესას ნეტავ ვინ აწერს?  
ბრძანა და ყველგან ეკკლესიებში  
მღვდლებმა მაზება ხატზე გადასცეს.  
თემის კრებაზე მაზებას ნაცვლად  
სხვა აირჩიეს, გეტმანად დასვეს.  
მნისეისა უდაბნოიდან  
ძოჩუბეის და ისკრას ოჯახებს  
პეტრე სიჩქარით თავისთან იწვევს.  
ცრემლს აფრქვევს იმათს ტანჯვისა კურცხლებს,  
მალერსება, პატივს უახლებს,  
და, მეფურისა გულ-უხვობითა  
ჯილდო-წყალობით ყელამდე ავსებს.  
მხედრად განთქმული, ჰალეი ქველი  
ექსორიიდან სახლში ბრუნდება,  
და ხელმწიფის წინ თავის დამკვრელი  
მეფის ბანაკში გამოცხადდება.  
მისჭირდა საქმე გოთაურების: \*)  
თავი მოკვეთეს ჩეჩელს მამაცსა  
და ზაპაროჟის ბელადს ვაჟკაცსა.  
რუმში სახელის მოხვეჭის ტრფიალს,

---

\*) გოთაურბი—ინსურგანცი.

ვინც მეფის გვირგვინს არჩია ხმალი,  
მოუახლოვდა დღე განკითხვისა:  
პალტავის ჯებირთ შორს მოჰკრა თვალი.

მეფემც იმ აღგილს აფრინა ჯარი—  
ბრძოლის ველს გაჩნდენ გრიგალ-ქარულად,  
და ერთმანეთსა ორი ბანაკი  
მყის შემოერთყა გარს ჰადრაკულად.

ვით გამოცდილი, მძლე მოჰიდავე  
სხვა ფალავნისგან დამარცხებული, —  
სულ-წასვლით ელის მასთან კვლავ შებმას  
წინანდელ მარცხით აღელოვებული, —  
ისე დაუხვდა დღეს ერთმანეთსა  
მრივე ჯარი წაქეზებული.

ბულ-გაბრაზებით ძარლოსი ხედავს  
რომ მას წინ გზაზე გადაეხლართა  
არა ის ჯარი, რომელიც ნარვთან  
მან დაიფრინა ვით ჯოგი ცხვართა,  
არამედ წვრთნილი ჯარი, ბრწყინვალე,  
მთავართ მორჩილი, მკვირცხლი და დინჯი,  
და ხიშტებისა ტყე მოელვარე...

მაგრამ მაინც სთქვა: ხვალ იქნეს ომი.  
ღრმა ძილი სუფევს შვედთა ბანაკში.  
ხოლო ჩურჩულებს ვიდაცა ორი,  
საუბარი აქვსთ ერთსა კარავში.

«არა, მრლიკო, მე დამერწმუნე,  
რომ ჩვენ ავჩარდით გადაქარბებით.  
წახდა თათბირი ჩვენი უგვანი,

ღა არ ექნება მადლი არსაით.  
მთლად დამელუბა საგანი, ბედი.  
შევცდი, ვით კაცი მე ხორციელი.  
სულ გამიცრუა ძარღმა იმედი.  
ის ყმაწვილია მხნე, შემმართველი,  
ადვილად ძალუძს ზოგი ომი მძლედ  
მოიგოს, მტერსა ეწვიოს ვახშმად;  
ღამით მტრის ბანაკს მიეპაროს მხნედ,  
ზარბაზნის ტყვიას დახვდეს მცინარი;  
მოჰკლას, როგორც ღლეს, ვინმე მხედარი,  
ღა მტრისა სისხლით მყის განიბანოს  
მტრისვე წყალობა—მწვაფი იარი.  
მაგრამ არ ძალუძს, რომ გაუმკლავდეს  
თვის-მპყრობელობის ბუმბღრაზ-ღევსა;  
მას გონია, რომ დაფ-დაფის დაკვრით  
ათამაშებს, ჯარივით, ბედსა.  
ის არის ფიცხი და ჯინიანი,  
ბრმა, თავზვიადი, ადვილ დამჯერე,  
მტრის ახალ ძალებს წარსულის ძღვევით  
იგი ღლეს ზომავს,—მე დამიჯერე.  
ადრე თუ გვიან ის ფეხს წაიკრავს.  
მრცხვენია, რომ მე, კაცმა ამ ხნისამ,  
ავყვევი რეგენებრ მაგ მეომარ ბავშს;  
მე გამაბრიყვა ბედმა, რომელიც  
მუდამ თან სდევდა იმას ომებში,  
ღა იმ თვისებამ შემმართებლობის,  
რასაც იჩენდა იგი ბრძოლებში.

ასე გაგბრიყვდი, თითქო ვიყავი  
ძალი, ამრჩევი ქმრის საქმროებში.

თრლივ.

მის დაფუცადოთ. ღრო არ წასულა,  
ძიდევ მოვასწრებთ პეტრესთან სალამს  
და ჩვენი საქმის მოგვარებასა.  
ჩვენგან ძლეული, იქვი არ არის,  
ის არ უარყოფს დაზავებასა.

მავჰჰა.

ზეიანლა არის... რუსების მეფე  
პლარ ინდომებს ჩემს შერიგებას.  
ღიდი ხანია რაც ბედის წერა  
ბალუწყვეტია ჩემი ბანგებას;  
ღიდი ხანია რაც ჯავრი ჩამყვა  
და გულს ვასკდები სანამ ვიზღვევ მას...  
ერთხელ, აზოვში მრისხანე მეფეს  
ბვერდით ვუჯელი წვეულებაში.  
ღვინით აღსავსე აზარფეშები  
ბადადიოდა ხელიდან ხელში;  
მლხინობდით ყველა, როგორც გვმართებდა  
სტუმრებს მეფისას ნადიმობაში.  
ჰველას გაეხსნა მქვერობის მადა,  
მეც გავერიე მქვერ-მეტყველებში,

და სიტყვა ვკადრე თამამი მეფეს...  
ნაღიმად მჯდომთა ეს იუცხოვეს,  
პეტრე მუქარით დამწვდა უღვაშებს...  
შძლური ბრაზი გულს ჩავიხვიე,  
და აღთქმა დავდევე—ვუზლო ნაცვალი;  
ისე ვატარე ეგ ზღვევის ნდომა,  
ვით მუცლად შვილსა ატარებს ქალი!  
ახლა კი დადგა დრო განკითხვისა...  
ღიად, ვიდრე კი ამ სოფლად ცხოვრებს,  
მაზეპას პეტრე ვერ დაივიწყებს;  
მის დასასჯელად გაჩენილი ვარ,  
იმის გვირგვინში მე ვარ ეკალი...  
ის მზაა გასცეს სამეფო ცალი,  
ან თავის ღლეთა უკეთეს წამნი  
დასწმოს, ოღონდაც კვლავინდებურად  
ჩემსა უღვაშებს მან მოსდვას ბრჭყალნი!  
მაგრამ იმედი ჯერ კიდევ არი:  
მინ გაიქცევა, იმასაც ვნახავთ,  
ამას გადასწყვეტს ხვალის ცისკარი.  
აღმოსავლეთი აღის ფერიითა  
შედება სრულად დილის ცისკარმა,  
ველს და გორებზე ზარბაზანთ გრგვინვამ  
სმენა წაიღო. შანგის ფერ კვამლმა,  
ქამარა შეკვრით დილის სხივებსა  
მიესალამა ცად აწეულმა.  
ჯართა დააწყვეს მიჯრით რაზმები,  
საფრად იჩინეს მსროლელთ ბუჩქები.

წივის ყუმბარა და სტვენს ტყვიები,  
 წაქანებულნი ელავს ხიშტები.  
~~შედეგებს~~ ძლევისა ამ პირმშო შვილებს,  
 მერ უმაგრდება მტრისა სანგრები.  
 ცხენოსანთ რაზმი მიღის ქენებით  
 და მის კვალს მისდევს ქვევითა ჯარი,  
 რომ ურყეველის თავის სიძტკიცით  
 წინა რაზმს დროზე უმაგროს მხარი.  
 ბრგვინვამ და ელვამ მოიცვა სრულად  
 ეს შავბედითი ბრძოლისა ველი,  
 ცხადად ეტყობა, რომ ძლევის ბედმა  
 რუსებს მიჰკერძა, მათ მისცა ხელი.  
 სროლისგან ჯარსა გამობრუნებულს  
 ეშლება კვალი, ქვე ინარცხება.  
 მტრის ჯარს მიაპობს, მიღის როზენი,  
 მხნე შლიბენბახი რუსებს ნებდება.  
 ავიწროებენ რუსები შვედებს,  
 უმტყუნა ბედმა მათ დროშის სახელს,  
 და მადლი ომის ღვთისა ამყარებს  
 წინ წადგმულ ნაბიჯს რუსთაგან ყოველს.  
 სწორედ ამ დროსვე ზე-ჩანაგონი  
 ბაისმა პეტრე მეფის ხმა გრგვინვად:  
 საქმეს ვეწიოთ, ღვთით ყმაწვილებო!»  
 და გამობრძანდა კარვიდან მინდვრად.  
 ახლავს ამაღა საყვარელ პირთა,  
 თვალთ უბრწყინავს სახე ზავთიანს;  
 მიმოხვრით ცქაფი, შვენეირია,

ზრგვინვას ჰგავს ლვთისას ელვა-ქექიანს.  
მიდის. მოართვეს ყრმათ ბედაური,  
მერანი სწრაფი და თვინიერი.  
იგრძნო რა ბრძოლის აურზაური,  
ქანკალებს ცხენი, თვალ-ქაჩვით ველს ჰვრეტს,  
და, ომის ბუქში დაჰქრის ამაყად,  
რაკი მხედრად გრძნობს მეფეს მამაცს, მძლეს.

შუა დღე ღგება. მატულობს სიცხე.  
ბრძოლა ისვენებს მომკალივითა.  
იქა-აქ დაჰქრის ცხენით კაზაკი,  
ჯარი ეწყობა მწყობრ-ლარივითა.  
შეწყდა სამხედრო მუსიკისა ხმა—  
და ზარბაზნთა გრგვინვა გორებზე.  
უცებ გაისმა ველად «ილიად:»  
მხედართ იხილეს პეტრე შორეზე!..  
და ჩაუქროლა თავის ერთგულ ჯარს  
მეფემან მძლემან სიამოვნებით.  
თვალეებით ქამდა ველსა საომარს.  
ამალად ახლდნენ თან დიდ-კაცები,  
თავად პეტრესი ბუდის ბარტყები,  
მას რომ ამ სოფლის ბედ-უბედობის,  
ხელმწიფობის და სამხედრო ღვაწლის  
უღელს უწევდენ ამხანაგობის:  
კეთილშობილი შერემეტევი,  
ბრიუსი, ბოური, მასთან რეპნინი,  
და ბელის პირმშო ძე უთვისტომო  
ქნინდა ხელმწიფის ტოლ-კაცად ქმნილი.

ცისფერ სამოსლით კაზმულ რაზმებსა  
თავეს გულადის და მხნე ჯარისას  
ზამოეცხადა ძარლოს ტახტრევნით:  
ტკივილებსა თმობს ძლივს ჭრილობისას,  
ზაფითრებული დაჰყავთ ერთგულ ყმებს,  
ძალსა ვერ ჰპოვებს საძრაობისას.  
ზმირი გარშემო მხედართ მთავრებს ჰვრეტს.  
ღაფიქრდა. მისი ამცბარი სახე  
ხატავს მეტის მეტს აღელვებასა,—  
საწადელ ომმა თითქო ჩააგდო  
ღღეს სამწუხარო საგონებელსა...  
შუბად ანიშნა სუსტი ხელითა  
და მიუტია ჯარი რუსებსა.  
წინ დახვდა მეფის სპა სისხლის მნდომი  
ძვამლით მოცულსა ტრიალ მინდორში...  
ზახურდა ომი, პალტავის ომი!  
ცეცხლში, ტყვიების ხოშკაკალის ქვეშ,  
ცოცხალი კედლით აოტებულსა  
ზამწყდართა რაზმზე ცოცხალნი ხიშტებს  
ხელთ იმარჯვებენ წვერ წამახულსა;  
ბოლქვა ღრუბლივით ცხენოსანთ დასნი  
ხმლის ჩახაჩუხით, აბჯართ წკრიალით  
მძგერებიან ერთმანეთს მედგრად—  
და სისხლის ღვარი მიდის თქრიალით;  
მოკლულთ ხროვაზე თუჯის ყუმბარა  
მოკლულთა ხროვას ზედ დგამს, აყენებს,  
ცოცხლებში დახტის, უსპობს სიცოცხლეს



სისხლში შიშინობს, ბღღვირსა აყენებს;  
შვედნი და რუსნი იჩეხებიან  
ხვრეტენ, შუბებზე აცმენ ერთმანეთს,  
ისმის «ჰკა-მას» ხმა, მხედართ ყვირილი,  
ზარბაზანთ გრგვინვა, ცხენთა ჭიხვინი,  
დაქრილთა ოხვრა, კვნესა, კივილი,  
ჯოჯოხეთისა საშინელება  
და ყოველ მხრიდან შავი სიკვდილი!  
ამ განგაშის და სისხლის წვიმის დროს,  
ზეშთავანებულ თვალთ ჰვრეტენ ომს  
ბულითა დინჯი წინამძღოლები:  
აკვირდებიან ჯართ მოძრაობას,  
წინ და წინ სწყვეტენ მარცხსა და ძლევას,  
ჩუმად აძლევენ ერთმანეთს რჩევას.  
მაგრამ ვინ არის ქალარა კაცი,  
ბვერდით რომ უდგას მოსკოვის შუალს?  
მრი კაზაკი მხარს უყენია,  
შურით უყურებს ომისა გრივალს.  
ვერ მოახტება აწ იგი მერანს,  
დაჩაჩანაკდა, მოტყდა დევნითა,  
და კაზაკები პალეის ხმაზე  
ვერ გაჩნდებიან ყოველი მხრითა.  
შეცრად მისმა იელვა თვალმა  
და რისხვამ, როგორც ღამის წყვილიაღმა.  
მოიცვა ჯმუხი, მოხუცი სახე.  
რისთვის აღელდა ასე საშინლად?  
მგებ ომისა კვამლში მან იცნო

მაზება, მისი მოსისხლე მტერი,  
და ამ საჭირო წამში შეზიზლდა  
შძლურს თავისი დღენი ხნიერი?

ზიქრში გართული ომს ჳვრეტს მაზება.

ზარს ახვევია ამაღა მარდი:

ნათესაობა, თავი კაცები

და სერდიუკები თან შენაზარდი.

ახლოს გაისმა თოფის გრიალი,

მაზებამ მოჰკრა ერთს მხლებელს თვალი,—

თოფი მბოლავი ეჭირა ხელში.

იქვე კაზაკსა ყრმას, საწყალობელს,

შეხედეს—ეგდო სისხლის მორევში.

ცხენმა იგრძნო რა თავისუფლება,

და მტვერ ქაფითა მთლად დათხუზულმა

ზაინავარდა, იწყო ჳენება

და მიიმაღა ცეცხლის ქარ-ბუქში.

იგი კაზაკი მედგრად ხმაღ და ხმაღ

და თვალებისა შმაგურ აღტყინვით

შიიჰრებოდა თავად გეტმანზი...

მაზებამ რაღაც შეჰკითხა იმ ყრმას, --

პასუხს ვერ აძლევს იგი კითხვაზე:

სულთ-მობრძავია, თუმც მისრწნიღ თვალით

ქელავ ემუქრება იგი გეტმანსა...

მომაკვდავს სახე ეღრუბლებოდა,

და მარიამის ნაზსა სახელსა

მნის ბორძიკით ძლივს ფუჰუნობდა.

შახლოვდებათ რუსთ გამარჯვება.

მრთი დაჰკივლეს კიდევ და მტერი  
მოტეხეს წელში, ვერ უმაგრდება...  
ქვლავ მიიტანეს მათზე ერიში,  
წინ დაიფრინეს, დასცეს თავზარი,  
და დაადვენეს ცხენოსანთ ჯარი.  
ბაქცეულების ხოცვა-ჟლეტისგან  
ჩლოუნგდება მათი მახვილი ხმალი.  
დახოცილების ხროვამ აავსო  
მინდორი, ველი, გზა და ნარვალნი...

რაშებზე მჯდომნი უდაბნოს გზითა,  
დაზავებული ბედის წვრითა,  
ბარბიან ერთად მეფე, გეტმანი.  
ბულის ღვარძლი და საშიშროება  
ლონეს აძლევენ მეფეს სნეულსა:  
დავიწყებია მძიმე კრილობა  
რუსთაგან დევნილს, გულ ამღვრეულსა.  
რას მიაჰქენებს, მირბის და მიჰქრის,  
შმა ძლივს ეწევა ბატონს ძლეულსა.

ლამის წყვილიაღმა მიწა შესუდრა.  
რუსეთისა და პეტრეს მტერები  
ანკარა ღნებრის ნაპირთ კლდეთ შუა  
რულოს მისცემიან გულ-ნაძგერები.  
მშვიდია ძილი გმირი მეფისა:  
დავიწყებია პალტავის ზარი,  
ბარნა მაზეპამ ძილში სიმწრისა  
ზმანება ნახა შემაშფოთარი.  
მას, აღბორგებულს, ახლაც არ ჰქონდა

სულის სიმშვიდე და მოსვენება.  
ღამის ბრელოში უცებ მოესმა—  
ვილაცას ხმოვა მისი ენება.  
ზამოელევიძა და რა იხილა:  
თავზე ადგა მას ვილაც, ლანდსავით,  
თითით სტუქსავდა უცნობი არსი,  
შეკრთა მახევა სათოკესავით...  
თითქო სიზმარში მარიამსა სჭვრეტს  
თმა გაშლილს, გამხდარს და ფერ წასულსა,  
ქონკებში მყოფსა, მთვარის შუქ ნაფენს,  
ჩაცვიფნულ თვალთა მობღვრიალესა.

### მარიაში.

ოჰ, ჩუპა იყავ, გთხოვ, მეგობარო,  
მს არს დავკარგე დედა და მამა.  
ზაჩუმდი, კრინტი არ უნდა დაესძრათ  
რომ აქ არ გავგცეს ჩვენმავე ხმამა.

### მაჭუპა.

მარიამ, ჩემო, შავ-ლღეს შობილო,  
ზონსა მოეგე, რა დაგემართა?

### მარიაში.


შური დამიგდე: რას ვერაგობენ!

რა ამბები აქვთ მათ სასაცილო?  
მე საიღუმლოდ დედამ მიამბო —  
მამა შენიო მოკვდაო, შეილო,  
ღა თავის ქალა გათეთრებული  
ჰიდევ. მიჩვენა, — ლმერთო ძლიერო!  
მითხარ: ავციებს საით გავექცეთ?  
ჰარგათ იფიქრე, გულის-ხმიერო!  
ის თავის ქალა ყოფილა მგლისა—  
მით სურდა ჩემი მოტყუილება.  
არც კი რცხვენია, რომ მაწვალებს მე,  
ან რისთვის მტანჯავს, იცი იქნება?...  
რომ ვერ გაგებდო დღეს თან გადმოგტყვე!..  
მაგრამ, სთქვი, განა ეს შეიძლება?!  
მარიამს სიტყვებს უსმენს უწყალო  
მისი მიჯნური, აწ ღრმა მწუხარე.  
«მახსოვს ხატობა... ღრევა... მინდორი...  
მკედრებთან ხალხი დგა, თითქო მოზარე.  
მე ხატობაში, — ამბობდა მარო,  
მივყავდი დედას. შენ სად იყავი?  
უშენოდ ღამ-ღამ მე რად ვეთრევი?  
შინ წამო! მართი თქვი: რა მიყავი?  
ბვიანლა არის, მალე, იჩქარე!  
ახ, ვგრძნობ, რომ თავსა ტყვილა ვიწუხებ  
სრულიად ფუჭე აღელვებითა:  
მე სხვად მიგიღე შენ, ბერო კაცო.  
შორს ჩემგან: თვალით დამცინვართა  
ღა საშინელით ხარ საზიზღარი!

ის კი ჩემია — შვენირება,  
თვალში გამოკრთის მას ტრფიალება,  
მისი ტკბილ სიტყვით ქვაც კი დადნება!  
მისი უღვაში თოვლს ჰგავს სითეთრით,  
და შენსაზე კი სისხლი დედდება.»

მს სთქვა და გიჟურ სიცილ-კისკისით  
ჩვილს ქურციკზედა უფრო სწრაფადა  
მოსხლტა, გაიქცა, მყის მაიმალა  
ღამის წყვდიადში ხტომით ცქაფადა...

ის იყო ბინდსა ცისკარი სძლევედა,  
აღმოსავლეთსა მზე აშვენებდა,  
მხლე კაზაკები იფქლსა ხარჩავდენ  
და ღნებრის. ნაპირს. მსახურნი. ცხენებს,  
ანჩალ-ახლილებს, წყალსა: ასმევდენ.  
ბამიეღვიძა. შვედების. მეფე  
და. მახეპასა. უწყო. ღვინძება.  
ის. კი. არ. იცის, რომ. მის. მოზავეს.  
რული. არ. მოსდის, არ. ეძინება:  
ზაფრა. და. დარდი. ქენჯნის. მის. გულსა,  
მკერდში. სულის. თქმა. მას. ეხუთება.  
პრინტსაც. არ. იღებს, ისე. კაზმავს. ცხენს,  
ღვენილს. მეფეს. გვერდს. აედევნება,  
და. წარბთ-ქვე. თვალი. უელავს. რისხვით.  
სამშობლოს. საზღვრებს. რა. ესალმება...



მეურნეობის, ეკონომიის, ვაჭრობისა და მრეწველობის, ჰიგიენის და საეკტერიწარმო ელ-ველ-კვირეულს ჟურნალს

## „მეურნე“- ზე

ჟურნალში დაახლოებულს მონაწილეობას იღებენ: აგრონომები—**გუნდაძე** იოსები, **ღამბუაძე** ნიკოლოზი, თ-დი, **ნაბაშიძე** მრმილე, თ-დი და სხვ.; ექიმები—**თოფუჩია** სამსონი, ქუთაისის კერძო სამკურნალოის დირექტორი, **ლორთქიფანიძე** სიმონი, თ-დი, და **ნაზაროვი** ლიმიტრი დოქტ. მედიც., ტენნიკი **კლდიაშვილი** შიქტორი, მეფუტკრე **წულაძე** აპოლონი და სხვ.

ფ ა ს ი ა ქ ო რ ნ ა ლ ი ს ა :

**წლით** ტფილისში 4 მანეთი, **ნახევ.** **წლით** 2 მ. და 50 კ., ტფილისის გარეშე: **წლით** 5 მანეთი, **ნახევ.** **წლით** 3 მანეთი. ადრესი: *Tiflisz redakciya „Meurne“ Reutovskaja, domz № 10;* ანუ: *Kutaissz, Otdelenie redakciya u kontory „Meurne“ Ilyoz Choniya.*

---

ნ. ი. გამრეკელი

იღებს

ქუთაისს

სასტამბო და

სალიტოგრაფიო

შარანცოვის ქუჩა

ყოველ გვარს საძმოდ

ა. მურალოვის


ზოგიერ ფასად

სახლი.

და ასრულებს დანიშნულს

დროზედ.

სტამბა და ლიტოგრაფია





ალექსანდრე ზვონია

ისტორიული ნაწარმი

ისყიდება ყოველგან

წიგნის მაღაზიებში

ფასი მანეთ ნახევარი.

персонал 200

персонал

персонал

персонал

персонал

персонал

персонал

79-

27

44

65

144

персонал

60

ვსა ორთა სძახი

89